საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №41

ქ. ბათუმი 28 ივნისი, 2017 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №81 დადგენილების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით შესასრულებელი სამუშაოს, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სამუშაო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 9 ნოემბრის N01-08/68 ბრძანების და სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად წარმოდგენილი პროექტის გათვალისწინებით, აკადემიურმა საბჭომ:

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო თანდართული გეგმა (**დანართი 1**).
2. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
2017 წლის 28 ივნისის N41 დადგენილებით

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმით
გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების
სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლები)

<u>მიზანი 1. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი სოციალური როლი უნდა შეასრულოს რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;</u>

სამოქმედო გეგმა	შესრულებისათვის
უნივერსიტეტისადმი, როგორც განათლებისა და მეცნიერების ცენტრისადმი ნდობის ამაღლება	სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ჩამოყალიბება, ბსუ-ს გაზეთის მოდერნიზაცია
ინსტიტუციურ, საზოგადოებრივ და ეროვნულ პროცესებში აქტიური ჩართულობა	კონტაქტების გაძლიერება სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებთან, ასოციაციებთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების (არსებობის შემთხვევაში - გააქტიურების) გზით
საქველმოქმედო აქციების მხარდაჭერა და განხორციელება	ბსუ-ს ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება
აკადემიური და სამოქალაქო ღირებულებების საზოგადოებაში დამკვიდრება	ანტიპლაგის პროგრამის შეძენა
ახალგაზრდა ლიდერების წარმოჩენა და მხარდაჭერა	ბსუ-ს სოციალური ქსელების გააქტიურება, თანამშრომლობის მემორანდუმები, სამართლებრივი ბაზის მომზადება
უნივერსიტეტი ღია უნდა გახდეს პარტნიორობის, დიალოგისა და თანამშრომლობისთვის	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება/გააქტიურება/განახლება. ბსუ-ს ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება
უნივერსიტეტის ვებგვერდის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, გაზეთის, სტუდიისა და გამომცემლობის გააქტიურება	თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტამბის შექმნა, გამომცემლობის დებულების სრულყოფა, შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების მომზადება. ბსუ-ს გაზეთის მოდერნიზაცია. საზოგადოებრივი მაუწყებელი - აჭარის ტელევიზიასთან თანამშრომლობის გაღრმავება.

<u>მიზანი 2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული;</u>

სამოქმედო გეგმა	შესრულებისათვის
საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების მეთოდების და ხარისხის მუდმივი განვითარების მექანიზმების შექმნა	შესაბამისი რეგულაციების მომზადება/სრულყოფა.
აკადემიური პერსონალის განვითარება და ხელშეწყობა	შესაბამისი რეგულაციების მომზადება/სრულყოფა.
ფუნდამენტური დარგების ხელშეწყობა და გაძლიერება	ბსუ-ს ბიუჯეტში თანხის გათვალისწინება.
საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარების ხელშეწყობა	რეგულაციების მომზადება/ სრულყოფა, ბიუჯეტში ფინანსური რესურსების გათვალისწინება
ავტორიზაციისაა და პროგრამული აკრედიტაციის წარმატებით გავლა	ბიუჯეტში ფინანსური რესურსების გათვალისწინება

<u>მიზანი 3. უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის;</u>

სამოქმედო გეგმა	**შესულებისათვის**
საუნივერსიტეტო სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება	შესაბამისი რეგულაციების მომზადება/ სრულყოფა, ბსუ-ს ბიუჯეტში ფინანსური რესურსების გათვალისწინება
სამეცნიერო მუშაობის საზღვრების გაფართოება	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება/განახლება, შესაბამისი რეგულაციების მომზადება, ბსუ-ს ბიუჯეტში ფინანსური რესურსების გათვალისწინება
სამეცნიერო დისკუსიებში ჩართულობა და ორგანიზება	ბსუ-ს მოქმედი მივლინების წესის სრულყოფა და ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინება
უნივერსიტეტის კვლევითი სიმძლავრეების პერმანენტული ზრდა	შესაბამისი თანხების ბიუჯეტში გათვალისწინება

<u>მიზანი 4. ინტერნაციონალიზაცია უნდა მოიცავდეს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებს;</u>

სამოქმედო გეგმა	**შესრულებისათვის**

გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობა	საქართველოს და უცხოეთის უსდ-თან და ინსტიტუტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება/განახლება/სრულყოფა. საერთაშორისო პროექტებში აქტიური ჩართულობა. ბსუ-ს ბიუჯეტში ფინანსური რესურსების გათვალისწინება
საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია	შესაბამისი რეგულაციების მომზადება. პარტნიორ უსდ-თან თანამშრომლობა. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა	საბიბლიოთეკო ქსელებსა და კონსორციუმებში გაწევრიანება
უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გააქტიურება	უცხოეთის უსდ-თან მემორანდუმების გააქტიურება და ახალი ხელშეკრულებების გაფორმება. დისტანციური სწავლების დანერგვა. საერთაშორისო ფორუმების (კონფერენციები, სკოლები და ა.შ) ორგანიზება

<u>მიზანი 5. დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის მხარდაჭერას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას;</u>

სამოქმედო გეგმა	შესრულებისათვის
კარიერული განვითარების ცენტრის ამოქმედება.	სტრუქტურული რეორგანიზაცია. ტრენინგების ჩატარება. სტაჟირებისა და ვაკანსიების ბაზის შექმნა
საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებელის, მეცნიერისა და ექსპერტის აქტიური ჩართულობა.	სპეციალური კითხვარების მომზადება, პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიური ჩართულობა
დამსაქმებლებთან შინაარსიანი, ორმხრივად სასარგებლო, რეალური და მოქმედი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და განხორციელება;	მემორანდუმების გაფორმება/განახლება. მოკლევადიანი პროგრამების შექმნა/სრულყოფა
დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორსა და მკვლევარს შორის ინფორმაციისა თუ მონაცემთა გაცვლის, სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესება	ერთობლივი საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელება

<u>მიზანი 6. უნივერსიტეტს უნდა ჰყავდეს სტრატეგიული პარტნიორები, როგორც აკადემიურ, ისე სხვა სფეროებში.</u>

სამოქმედო გეგმა	შესრულებისათვის
პარტნიორების შეძენა განათლების, საჯარო და სხვა (საწარმო, ბანკი, ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ. სფეროში)	მემორანდუმების გაფორმება/განახლება. ერთობლივი საგანმანათლებლო, კულტურული, სამეცნიერო, სოციალური და სხვა სახის პროექტების განხორციელება
განსაკუთრებული კავშირების დამყარება სამეცნიერო, აკადემიური, ბიზნეს, სამოქალაქო და სახელმწიფო წრეების წარმომადგენლებთან, ცნობილ მეცნიერებთან, ხელოვანებთან, მწერლებთან.	მზრუნველთა საბჭოს შექმნა; მხარდაჭერის და განვითარების ფონდის გაძლიერება; ერთობლივი პროექტების განხორციელება

<u>მიზანი 7. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს სწავლის, სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად.</u>

სამოქმედო გეგმა	შესრულებისათვის
უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე ფართის ზრდა და განვითარება	ახალი სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე (მათ შორის სტუდენტთა საცხოვრებელი) ფართების მშენებლობა. კომუნიკაცია აჭარის არ მთავრობასთან ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინების მიზნით. შეთანხმება ქალაქ ბათუმის მერიასთან. სასწავლო ცხრილების შედგენის ელექტრონული პროგრამის შექმნა
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება	ბსუ-ს ბიუჯეტში შესაბამისი თანხის გათვალისწინება. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისთვის შენობის აგება
სტუდენტზე მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნა	დასასვენებელი სივრცეებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა. ინტერნეტ ქსელის განვითარება, თანამედროვე სტუდენტური კაფის მოწყობა. სტუდენტური თვითშემოქმედების (ტელესტუდია, თეატრი, სიმღერის და ცეკვის ანსამბლები, სპორტული წრეები და ა.შ.) განვითარება

<u>**მიზანი 8. აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და ეფექტური.**</u>

სამოქმედო გეგმა	შესრულებისათვის
მენეჯმენტის ყველა რგოლში ორგანიზაციული ეფექტურობის გაზრდა	შესაბამისი რეგულაციების მომზადება
დანახარჯების ეფექტიანობის გაზრდა და ხარჯვითი პროცესის გამჭვირვალობა	შესაბამისი ანგარიშების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე
შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით შეფასება	შესაბამისი რეგულაციების შექმნა/სრულყოფა
სტუდენტისა და თანამშრომლის სოციალური დაცულობის გაუმჯობესება	სტუდენტთა მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების განვითარება
უნივერსიტეტის ძირითადი სერვისების განვითარება	კონკურენტუნარიანი, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება სწავლების ყველა საფეხურზე
უნივერსიტეტის სარეკლამო სტრატეგიის შემუშავება/განვითარება	აქტიური სარეკლამო კამპანიის წარმოება საქართველოსა და უცხოეთში. ბსუ-ს ბიუჯეტში თანხის გათვალისწინება
უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაგეგმარების დახვეწა	ბსუ-ს პროგრამული, ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების მოდელების შემუშავება და პილოტირება. ფინანსურად არაეფექტური (მაგრამ უსდ-ს განვითარებისათვის აუცილებელი) პროგრამებისათვის სპეციალური კრიტერიუმების შემუშავება